

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 30 მაისის
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33

სხდომის დაწყების დრო: 18:30 საათი

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ზურაბ როსტიაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) ვახტანგ გაგნიძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვახტანგ გაგნიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

ბ) ნუცა პაპუნაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნუცა პაპუნაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ თამარ გელაშვილის, გიორგი ებანოიძის, ხათუნა მამალაძის, გოგიტა გოგლიჩიძის, ფელიქს ჯალალონიას, ზაკური ცირამუას, დავით გრიგოლაშვილის და იონა ლორთქიფანიძის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი თამარ გელაშვილის, გიორგი ებანოიძის, ხათუნა მამალაძის, გოგიტა გოგლიჩიძის, ფელიქს ჯალალონიას, ზაკური ცირამუას, დავით გრიგოლაშვილის და იონა ლორთქიფანიძის განცხადებები;
2. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21²-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ფელიქს ჯალალონიას გაწევრიანების თანავე შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა.

წევრები გაეცნენ ხელახლა გაწევრიანების მსურველი პირის ქეთევან შალიკაშვილის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ 2012 წლიდან 2019 წლამდე იგი არ იმყოფებოდა საქართველოში და არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. განცხადებაში უთითებდა, რომ აღნიშნული გარემოება ჩათვლილიყო საპატიო მიზეზად და საწევრო დავალიანების გადახდის გარეშე მომხდარიყო მისი ხელახალი გაწევრიანება ასოციაციაში.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ქეთევან შალიკაშვილს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს

კანონის 21³-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო, 2013 წელს შეუწყდა ასოციაციის წევრობა და ერიცხებოდა 2012-2013 წლების საწევრო დავალიანება.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21²-ე მუხლით განსაზღვრულია წევრობის შეჩერების საფუძველები. ამავე, მუხლის, 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება პირადი განცხადების საფუძველზე, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით. შესაბამისად ქეთევან შალიკაშვილი უფლებამოსილი იყო პირადი განცხადების საფუძველზე შეეჩერებინა ასოციაციის წევრობა იმ პერიოდის განმავლობაში რა დროსაც ის არ იმყოფებოდა საქართველოში. შესაბამისად მის მიერ განცხადებაში მითითებული გარემოება ვერ ჩაითვლება საპატიოდ.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. ქეთევან შალიკაშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების ნაწილში.
2. არ დაკმაყოფილდეს ქეთევან შალიკაშვილის განცხადება 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.
3. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 3. ასოციაციის წევრობის შეჩერება

განხილულ იქნა: გრიგოლ ვატიტაძის, ქეთევან გუნიავას, მამუკა ვარდოშვილის, დავით მიროტაძის, სოფიკო გოგიბერიძის, ბონდო მუხიგულაშვილის, ნათია ჩუბინიძის, ნინო კახიანის, მაია კილაძის, ეკატერინე ნაპირელის, 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირები: ლალი ქევიციანი, იოსებ ჭონქაძის, გიორგი თურმანიძის, სალომე ლურსმანაშვილის, მადონა ბზიკაძის, ნუცა ცნობილაძის, ნინო კარიაულის, თამარ ბუბაშვილის, ბესიკ მჭავანაძის განცხადებები.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018-2019 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა,

წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამავდროულად, 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს: ლალი ქვეციშვილს, იოსებ ჭონქაძეს, გიორგი თურმანიძის, სალომე ლურსმანაშვილს, მადონა ბზიკაძეს, ნუცა ცნობილაძეს, ნინო კარიაულს, თამარ ბუბაშვილს და ბესიკ მჭავანაძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი 4. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების განცხადებების განხილვა

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) ნინო კაკაურიძის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნინო კაკაურიძე აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად არ ექვემდებარებოდა საშეღავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ნინო კაკაურიძის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ბ) ლალი ქვეციშვილის განცხადებას 2018-2019 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ამჟამად მოქმედი საწევრო შეღავათების წესების შესაბამისად ლალი ქვეციშვილი არ ექვემდებარებოდა საშეღავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

წევრები გაეცნენ ლალი ქვეციშვილის განცხადებას და განაცხადეს, რომ განცხადებაში მითითებული გარემოება, რომ იგი 2017 წლიდან არის საჯარო მოხელე და არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას ვერ ჩაითვლებოდა საპატიო გარემოებად ვინაიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს

კანონის 21²-ე მუხლით განსაზღვრულია წევრობის შეჩერების საფუძვლები. შესაბამისად, ლალი ქევიშვილი უფლებამოსილი იყო პირადი განცხადების საფუძველზე შეეჩერებინა ასოციაციის წევრობა იმ პერიოდის განმავლობაში რა დროსაც ის არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ლალი ქევიშვილის განცხადება 2018-2019 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(გ) კარლო სიჭინავას განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ კარლო სიჭინავა აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი ექვემდებარებოდა 75%-იანი საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს. კარლო სიჭინავას მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს კარლო სიჭინავას განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(დ) ნაზი დოთიაშვილის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნაზი დოთიაშვილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი ექვემდებარებოდა 50%-იანი საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს. ნაზი დოთიაშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ნაზი დოთიაშვილის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ე) ლამარა ბზიშვილის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლამარა ბზიშვილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2014-2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი ექვემდებარებოდა 50%-ანი საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს. ლამარა ბზიშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ლამარა ბზიშვილის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ვ) მარიამ დარისპანაშვილის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მარიამ დარისპანაშვილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2014-2015-2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს. მარიამ დარისპანაშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მარიამ დარისპანაშვილის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ზ) ციური ნონიკაშვილის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ციური ნონიკაშვილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2015-2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი ექვემდებარებოდა 75%-იანი საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს.

(ლ) მათა ნიკოლაშვილის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მათა ნიკოლაშვილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2015-2016-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მათა ნიკოლაშვილის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(მ) მურმან ქამადაძის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მურმან ქამადაძე აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი ექვემდებარებოდა 50%-იანი საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მურმან ქამადაძის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ნ) თეიმურაზ მეზვრიშვილის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თეიმურაზ მეზვრიშვილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2015-2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს. თეიმურაზ მეზვრიშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თეიმურაზ მეზვრიშვილის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ო) თამარა იასეშვილის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თამარა იასეშვილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2015-2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი ექვემდებარებოდა 50%-ანი საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს. თამარა იასეშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, იგი განეკუთვნება ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიერ განსახილველ საკითხთა კატეგორიას და მიზანშეწონილია განმცხადებელს განემარტოს, რომ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თამარა იასეშვილის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(პ) ლიდა ონიანის განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლიდა ონიანს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გაუნახევრდა იყო 2018 წლის საწევრო გადასახადი, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად იგი არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ლიდა ონიანის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ჟ) ზაზა დარბაიძის განცხადებას 2018 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზაზა დარბაიძე მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ზაზა დარბაიძის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი 5. 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდეგ კოლეგების მხრიდან საწევროების შეტანის პროცესი ინტენსიური გახდა, თუმცა დღეის მდგომარეობით, საწევრო დავალიანების მქონე პირთა სიაში კვლავ საკმაოდ ბევრი ადვოკატია. ამასთან, რამდენიმე ათეულმა ადვოკატმა მოგვმართა საწევროს გადახდის გარკვეული ვადით გადავადების თაობაზე. შესაბამისად, რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და თან გვაქვს განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე მიზანშეწონილია კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლი იძლევა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, 2019 წლის 12 აპრილს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე წლის 1-ელ მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა შეგვიძლია გავაგრძელოთ 20 კალენდარული დღით - 2019 წლის 19 ივნისამდე.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2019 წლის 12 აპრილს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 1-ელ მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 20 კალენდარული დღით, ანუ 2019 წლის 19 ივნისამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

2019 წლის 12 აპრილის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 1-ელ მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 20 კალენდარული დღით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 19 ივნისი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად:

(ა) 2019 წლის 1-ლი მაისიდან დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;

(ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N36, ტელეფონი: 032 2 98 78 78;

(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 1-ლი მაისი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღე.

(დ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

(ე) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია /Georgian Bar Association/) საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 19 მაისი.

(ზ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2019 წლის 19 ივნისი.

(თ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება და 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეწყვეტის თაობაზე გამოქვეყნდეს გაზეთ „რეზონანში“, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია /Georgian Bar Association), უფლებამოსილებაშეწყვეტილ ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, მათ მიერ ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ი) 2019 წლის 19 ივნისამდე დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია.

საკითხი 6. საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა

განხილულ იქნა შემდეგ წევრთა განცხადებები: სოფიო ქანთარია, შალვა გეწაძე, მარიამ ქებაძე, მანანა გელაშვილი, ონისე მეზონია, ციალა მირცხულავა, დავით ჩალაძე, ნუგზარ ელიავა, იოსებ ჭონქაძე, თამარ დოლონაძე, გიორგი გოლუბიანი, შორენა ბარათაშვილი, ზურაბ იმერლიშვილი, მანანა კაჭარავა, რამაზ კაკუშაძე, შალვა თაბორიძე, ნანა საჯაია, მაცვალა მოწყობილი, გელა მამუკაშვილი, გივი ღვინიაშვილი, თინათინ მჭედლიშვილი, თამარ ტიგინაშვილი, ტრისტან ლომიძე, მაკა სალხინაშვილი, მანანა ბოგვერაძე, მათა დარბაიძე, ხათუნა ბუცხრიკიძე, თეონა ფერაძე, ნატო ნებიერიძე, მამუკა ლომიძე, მარიამ სანებლიძე, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, გულნარა ჯიმშელაძე, ნატო ცნობილაძე, ლაშა გოგინაშვილი, თამარ მეზონია, შორენა ცქიფურიშვილი, თეონა ქორიძე, ქეთევან ნაცვლიშვილი, თამარ ჭანტურია, გოჩა კილასონია, ნათელა ჩერქეზია, ლაშა წურწუშია, თეონა გუგუშაშვილი, ცისანა ბერულავა, ალექსანდრე ჩირგაძე, შოთა ჯანანაშვილი, ნინო დოლაბერიძე, შოთა ჯანაშვილი, ალექსანდრე ჩირგაძე, თეა ღვინჯილია, ელისო ონიანი, თამარ ბოსტაშვილი, ზაზა დარბაიძე, სანდრო კახნიაშვილი, პაატა მკერვალიშვილი, მზია ფხალაძე, ზურაბ ჭოჭუა, შორენა ვარდუკაძე, ზურაბ ჭოჭუა, ზვიად გადელია, სალომე ნაცვლიშვილი, ანი მჭედლიძე, ხათუნა მანჯგალაძე.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: **განმცხადებელთა მოთხოვნა საწევრო გადახდის გადახდის გადავადების თაობაზე განსახილველად გადაიდოს აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.**

საკითხი 7. ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტის შექმნის საკითხის განხილვა

წევრებს მიუწოდათ ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის 27 მაისს ასოციაციას ერთობლივი განცხადებით მომართეს ადვოკატებმა: ეკატერინა აბაშიძემ, ირაკლი ბარძიმაძემ, შალვა გოგოლაძემ, ნუგზარ სამარჯიშვილმა, იოსებ ხითარიშვილმა და გიორგი ჯვარიძემ, რომლითაც ითხოვდნენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხის მიუნიციპალიტეტში ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის შექმნას.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხის მიუნიციპალიტეტში შეიქმნას ადვოკატის უფლებათა დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტი.
2. სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ადვოკატებს ეცნობოთ, რომ სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე;
3. აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომაზე წარმოდგენილ იქნას კომიტეტის დებულების პროექტი და გაწევრიანების მსურველი პირების განცხადებები.

საკითხი 8. ასოციაციის კომიტეტების თანათავმჯდომარეების დამტკიცება

წევრები გაეცნენ კომიტეტების თავმჯდომარეთა განცხადებებს თანათავმჯდომარეთა წარდგენის თაობაზე.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ასოციაციის კომიტეტების თანათავმჯდომარეები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

საკითხი 9. აკრედიტაციის საკითხის განხილვა

წევრები გაეცნენ შპს „საიბერ სიქიუარ სენტრალის“ (Cyber Central LLC) განცხადებას აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე (საგანმანათლებლო ღონისძიების თემა - კიბერუსაფრთხოება). წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განცხადება შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შპს „საიბერ სიქიუარ სენტრალის“ (Cyber Central LLC) განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 10. ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება

წევრები გაეცნენ ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა დამტკიცებით სიას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N2).

საკითხი 11. ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის N2473 განკარგულების შესაბამისად და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უსასყიდლო აღნაგობის უფლებით მიიღო ა(ა)იპ ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მდებარე სოფელ დილომში 4547 კვ.მ. (ს/კ 01.72.14.055.112) და 528 კვ.მ. (ს/კ.: 01.72.14.055.113) და უსასყიდლო აღნაგობის უფლების ვადად განისაზღვრა 99 წელი, რაც რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში.

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული ქონების საკუთრებაში გადმოცემა

განხორციელდა იმ პირობით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებაზე ან მის ნაწილზე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, უზრუნველყოფილ იქნას არანაკლებ 1200 კვ.მ. საერთო ფართის მქონე შენობა-ნაგებობის აშენება, ექსპლუატაციაში მიღება ორმოცდაათი თვის ვადაში და ამავე შენობა-ნაგებობის გამოყენება მხოლოდ სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ უსასყიდლოდ სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არსებობის ვადით.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე იმისათვის, რომ დროულად და ეფექტიანად იქნას უზრუნველყოფილი აღნიშნული პირობის შესრულება და ასოციაციის სათავო ოფისის მშენებლობის მიზნებისათვის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ იქნა არქიტექტორ დავით ცუცქერიძის მიერ შექმნილი შენობა-ნაგებობის არქიტექტორული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც შენობა-ნაგებობის სავარაუდო ფართი იქნება 2300 კვ.მ. წევრები გაეცნენ და მოიწონეს წარდგენილი არქიტექტორული კონცეფცია.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. მოწონებულ იქნას არქიტექტორ დავით ცუცქერიძის ავტორობით შექმნილი არქიტექტორული კონცეფცია წარმოდგენილი სახით;
2. დადებულ იქნას (ა) არქიტექტორული კონცეფციისა და პროექტის; (ბ) საავტორო ინტერიერის დიზაინის და დიზაინპროექტის შემუშავების შესაბამისი ხელშეკრულებები;
3. ეთხოვოს ასოციაციის თავმჯდომარეს ხელშეკრულებების პირობებისა და ვადების განსაზღვრა და სათანადო ხელშეკრულებების გაფორმება.

საკითხი 12. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ ადვოკატ **თამარ კუპრიენკოს** განცხადებას, რომელიც ითხოვდა ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის დანიშნულების შეცვლას და ჩათვლას საწევრო გადასახადში.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანებამდე აპირებდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა 2019 წლის 26 მარტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე, რომლის თანახმად ასოციაციის წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებით 2005-2010 წლებში ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო შეწყვეტილი ჰქონდათ ასოციაციის წევრობა, სრულად გათავისუფლდნენ საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან, მან მომართა აღმასრულებელ საბჭოს ხელახალი გაწევრიანების შესახებ განცხადებით, რომელიც დაკმაყოფილდა აღმასრულებელის საბჭოს 2019 წლის 30 მაისს გადაწყვეტილების თანახმად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ კუპრიენკოს განცხადება ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის დაწინაურების შეცვლის და საწევრო გადასახადში ჩათვლის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე

მამუკა ნოზაძე	_____
მარიამ კუბლაშვილი	_____
გიორგი ტურაზაშვილი	_____
გიორგი თევზაძე	_____
ნათია კორკოტაძე	_____
ირაკლი ყანდაშვილი	_____
ზურაბ როსტიაშვილი	_____